



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 27

განკარგულება

11/03/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 9 მარტის N31/1253 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართი N2-ის მიხედვით.
2. შერჩეული საპროექტო წინადადებები ინიცირების სახით წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულებაში იქნება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრამის ქუჩა N11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგ(პ) ფონდის მიერ 2020 წელს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულებასაპროექტო დოკუმენტ. ღირ. გარეშე	მ.შ.მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ. შ. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება (5%)	პროექტის განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში (მე10 ქუჩაზე), მეორე უბანი - ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	1 300 000	1 235 000	65 000	2020 აპრილი - სექტემბერი	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მე -15 და 42 ქუჩებზე, კოსტავების, ჟორჟოლიანების, მიწაწითელას უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	1 370 500	1 301 975	68 525	2020 აპრილი - სექტემბერი	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ბანოჯაში, თორთლაძეების უბანში, N3, N18, N19, N39 და სოფელ ოფშკვიტოში (მარგველაშვილები სა და-ინანიეშვილების უბნებში), გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	2 085 632	1 981 350	104 282	2020 აპრილი - სექტემბერი	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა
5	ქ. წყალტუბოში ტაბიდის ქუჩაზე საფეხმავლო ველობილიკის მოწყობა, შანიძისა და ტაბიდის ქუჩების დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.	448 958	426 510	22 448	2020 აპრილი - სექტემბერი	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა

6	ქ.წყალტუბოში გზების რეაბილიტაცია - ჭავჭავაძის ქ. №10, დედაენის №3, 5,7,9,24 ბესიკის ქ. №2, გოგებაშვილის ქ. N1, № 2, № 2ა სახლების მიმდებარედ, ბარათაშვილის N3, დედაენის 15-17-ის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	528 500	502 075	26 425	2020 აპრილი - სექტემბერი	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა
7	ქ. წყალტუბოში აკ. შანიძის N4, N9, შვეჩენკოს ქუჩის N1 შესახვევში და N1 ჩიხში, 26 მაისის ქუჩის N9 ბინის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქუჩის მე-2 ჩიხში, გამსახურდიას ქუჩის გაგრძელება. გ.ტაბიძის ქუჩის N1ა და 3ა ბინებთან, ვაჟა-ფშაველას ქუჩის პირველ შესახვევში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	738 834	701 892	36 942	2020 აპრილი - სექტემბერი	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა
8	ქ. წყალტუბოში ოტია იოსელიანის ქუჩაზე ღობეების რეაბილიტაცია და ავალიანის და წერეთლის ქუჩაზე ტროტუარისა და ღობის რეაბილიტაცია	222 995	211 845	11 150	2020 აპრილი - სექტემბერი	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა
	ჯამი:	6 695 419	6 260 847	434 572		

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო